

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვაკიჯვრის მაჟორიტარი დეპუტატის ვახტანგ ნიჟარაძის ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

წინამდებარე ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ვეყრდნობოდი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით საკრებულოს წევრისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წარდგინებით მივიღე მონაწილეობა, სადაც გავიმარჯვე და გავხდი საკრებულოს წევრი სოფელ ვაკიჯვრის ადმინისტრაციული ერთეულიდან.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვანხორციელებდი საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიებში. 1.სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია. 2). აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია. ამავდროულად ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი.

სულ საანგარიშო პერიოდში მივიღე მონაწილეობა საკრებულოს როგორც რიგით ასევე რიგგარეშე სხდომებში 19-ჯერ, დავესწარი კომისიების სხდომებს 48-ჯერ და ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ 12 სხდომას.

მონაწილეობა მივიღე არასამთავრობო ორგანიზაციის „ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“-ს მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში.

როგორც საკრებულოს წევრს შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან), რა დროსაც, მათ მიერ წამოჭრილი პრობლემები შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურულ საკითხებს.

ჩემს მიერ როგორც საკრებულოში ასევე მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი იქნა სოფლის პრობლემები რომელთა ნაწილი გადაწყდა დადებითად და ნაწილი პროექტების გათვალისწინებული არის მიმდინარე წლისთვის. წარმოგიდგენთ საანგარიშო პერიოდში შესრულებულ სამუშაოების ჩამონათვალს:

საანგარიშო პერიოდში დასრულდა ვაკიჯვარი-ფამფალეთი-მთისპირის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;

სოფელ ფამფალეთის სასაფლაოს გზის ბეტონის საფარით მოწყობა სულ 270 მ.

აგრეთვე მოიხრემა 100 კუბური მეტრამდე მოცულობით ღორღით სოფლის შიდა გზები.

ასევე მოხდა სანაგვე ურნების გზებზე დამატება 3 ერთეულით.

სოფელში ნაწილობრივ შეკეთებული და აღდგენილი იქნა სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავები, კერძოდ 3 ოჯახს გადაეცა თუნუქის სახურავი.

განსაკუთრების მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ საანგარიშო პერიოდში ვაკიჯვრის საჯარო სკოლის აღზრდილმა ნატა სიამაშვილმა ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიიღო 3000 ლარი ერთჯერადი გასაცემლის სახით ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების გამო და მისმა აღზრდელმა სკოლამ 1000 ლარი.

ასევე წარმოგიდგინთ იმ პრობლემების ჩამონათვალს რომლის გადაწყვეტაც დაგეგმილია მიმდინარე წელს:

მიმდინარე წელს დაგეგმილია სოფლის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტა. პროექტი ითვალისწინებს ვაკიჯვრისა და ფამფალეთის მოსახლეობის სრულ გამრიცხველიანებას, რაც უზრუნველყოფს წყლის დებეტის ეფექტურ მოხმარებას.

მონაწილეობა მივიღე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019-2020 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემის და მიღების წესის, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და დაჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის კორექტირებასა და დაზუსტების, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის განხილვა დამტკიცებაში, კურიორტ გომისმთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის დასამტკიცებლად დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავებაში;

მე როგორც საკრებულოს წევრი გავაგრძელებ მუშაობას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატთან, საკრებულოსთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და სოფლის ამომრჩევლებთან იმ პრობლემების გადასაწყვეტად რაც მნიშვნელოვანია ჩვენი სოფლისთვის.

და ბოლოს მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს მთლიან შემადგენლობას, მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს აპარატს თანამშრომლობისათვის

**საკრებულოს წევრი
მაჟორიტარი დეპუტატი
ვახტანგ ნიჟარაძე
25.02.2019 წელი**